



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

ნოე ქაშიბაძე

06.012.2013 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო
ფონდიდან თანხების განკარგვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში 10/129
(2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი)

შინაარსი

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	5
რეკომენდაციები	5,6,13

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (აფხაზეთის მთავრობის) სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი, რომელიც ასახულია 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს (მთავრობის) ანგარიშებში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ანგარიშების მომზადებისა და მისი სამართლიანად წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (სარეზერვო ფონდიდან) თანხების განკარგვისა და იმ ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, რომელიც ასახულია მთავრობის ანგარიშებში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აფხაზეთის მთავრობის მიერ აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია მთავრობის ანგარიშებში მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

2011-2012 წლების აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე:

- სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრსა“ და ადვოკატ მზია ალავიძეს შორის გაფორმებული 2011 წლის 23 თებერვალის N12 ხელშეკრულებისა და 2011 წლის 28 თებერვლის შეთანხმების აქტის საფუძველზე, ადვოკატ მზია ალავიძისათვის გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით¹ სარეზერვო ფონდიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსათვის „კომპენსაციები, დავალიანებები (მ.შ. სასამართლო გადაწყვეტილება) და მიმდინარე რეორგანიზაციის ხარჯები“-ს მუხლში 16,250.00 ლარის გამოყოფა მოხდა საკითხის სრულყოფილი და ყოველმხრივი შესწავლის გარეშე. კერძოდ, არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრ“-სა (დმკვეთს) და ადვოკატ მზია ალავიძეს (შემსრულებელს) შორის გაფორმებული 2011 წლის 23 თებერვლის N12 ხელშეკრულებისა და 2011 წლის 28 თებერვლის შეთანხმების აქტის შინაარსიდან გამომდინარე, (რაც გულისხმობდა იმას, რომ სასამართლო დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ საბანკო ანგარიშსწორების წესით ჯილდოს სახით გადასცემდა 16,250.00 ლარს, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 კალენდარული დღის ვადაში) გადასახდელი თანხა - 16,250.00 ლარი, როგორც პირობითი ვალდებულება ოფიციალურად არ ყოფილა აღიარებული (აღრიცხული). შესაბამისად, 16,250.00 ლარის გამოყოფა (გახარჯვა) მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, რომელიც იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში **გაუთვალისწინებელი გადასახდელების** დასაფინანსებლად, განხორციელდა მოქმედი წესისა და კანონმდებლობის² მოთხოვნათა უგულებელყოფით (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი განმარტება წარმოდგენილია „სხვა მნიშვნელოვანი საკითხების“ აბზაცში);

- მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდი იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში **გაუთვალისწინებელი გადასახდელების** დასაფინანსებლად, 2011-2012 წლებში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მაინც გაიცა 39,550.00 ლარი ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალური-მატერიალური დახმარებები), რომელიც გათვალისწინებული იყო 2011-2012 წლების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების ასიგნებებში.
- აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდი იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში **გაუთვალისწინებელი გადასახდელების** დასაფინანსებლად, თუმცა 2012 წელს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებების³ საფუძველზე აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან“ არსებულ აფხაზეთის სახელმწიფო კაპელას მაინც გამოეყო ორ შემთხვევაში ჯამში - 73,634.00 ლარი, საზღვარგარეთ ფესტივალ „ჩვენებურებში“ მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით ისეთი გადასახდელების დასაფინანსებლად (მივლინების ხარჯები),

¹ 2011 წლის 25 ნოემბრის №628 ბრძანება

² „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 91-ე მუხლის მოთხოვნები, „2011 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ 32-ე მუხლის „წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა“ მოთხოვნები და საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.

³ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მ/შ 07.03.2012 წლის N156 და 25.07.2012 წლის N428 ბრძანებები.

რომელიც გათვალისწინებული იყო 2012 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ ასიგნებებში (სუბსიდიის სახით).

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების გარდა, აფხაზეთის მთავრობის მიერ 2011-2012 წლებში აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემასთან დაკავშირებით გაწეული საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და მთავრობის ანგარიშებში ასახული ინფორმაცია ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

სარეზერვო ფონდისა და თანხების გამოყოფის (ხარჯვის) ზოგადი წესის შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის და 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტებით გათვალისწინებული მთავრობის სარეზერვო ფონდი შეადგენდა:

ათასი ლარი

წელი	წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდი	გამოცემული ბრძანების რაოდენობა	გამოყოფილი თანხის ოდენობა	საკასო შესრულება
1	2	3	4	5
2011	200.0	504	199.64	199.55
2012	207.0	482	206.45	205.45
ჯამი	407.0	986	406.09	405.0

აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფასთან (განკარგვასთან) დაკავშირებით, რომელიც ძირითადად შეეხებოდა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე მატერიალური დახმარების გაცემას და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას, აფხაზეთის მთავრობაში არ იყო ოფიციალურად (შესაბამისი ბრძანებით ან სხვა რაიმე ნორმატიული დოკუმენტით) შემუშავებული თანხების გაცემის კონკრეტულად გაწერილი წესი და კონტროლის მექანიზმები, რითაც ფაქტობრივად დადგინდებოდა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობა სარეზერვო ფონდიდან თანხების მიზნობრივად განკარგვასა და შემდგომ კონტროლზე.

რეკომენდაციები

აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ეფექტურად განკარგვის უზრუნველსაყოფად

მიზანშეწონილია აფხაზეთის მთავრობის მიერ ოფიციალურად (შესაბამისი ბრძანებით) შემუშავდეს თანხების გამოყოფის კონკრეტულად გაწერილი წესი და კონტროლის მექანიზმები (კონტროლის კომპონენტების გათვალისწინებით). აღნიშნული გარემოება უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას და თანხების უფრო ეფექტურად განკარგვის შესაძლებლობას.

სოციალური (მატერიალური) დახმარებისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ

აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა სახის მკურნალობისათვის, მატერიალური დახმარებისათვის გამოყოფილი თანხები შეადგენდა:

ათასი ლარი

წელი	მკურნალობისათვის, მატერიალური დახმარებისათვის გამოყოფილი თანხები	საერთო გამოყოფილი თანხის ოდენობა	% (2:3)
1	2	3	4
2011	145.75	199.64	73
2012	120.85	206.45	59
ჯამი	266.6	406.09	66

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდი იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად, 2011-2012 წლებში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის 123 ბრძანების საფუძველზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მაინც გაიცა 39,550.00 ლარი ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალური-მატერიალური დახმარებები), რომელიც გათვალისწინებული იყო 2011-2012 წლების რესპუბლიკურ ბიუჯეტში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების ასიგნებებში.

რეკომენდაციები

აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სოციალური (მატერიალური) დახმარებისათვის თანხების გამოყოფის საკითხის განხილვისას, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ამ მიზნით ყოველწლიურად გათვალისწინებულია შესაბამისი თანხები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ასიგნებებში. შესაბამისად, მხოლოდ წარმომადგენლობების ბიუჯეტით გათვალისწინებული რესურსების სრულად ათვისების შემთხვევაშია მიზანშეწონილი განხილული იქნას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მსგავსი დანიშნულებით თანხების გაცემის საკითხი.

სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (დანიშნულებით) გამოყოფილი თანხების შესახებ

აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე სხვადასხვა სახის მკურნალობისათვის, სოციალური (მატერიალური) დახმარებისათვის აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემის გარდა, აუდიტის პერიოდში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (დანიშნულებით) თანხების გამოყოფას. კერძოდ:

2011 წელს ამ კუთხით გამოიყო (გაიხარჯა) 53,894.00 ლარი (საერთო გამოყოფილი თანხების 27 %), ხოლო 2012 წელს გამოიყო (გაიხარჯა) 85,597.00 ლარი (საერთო გამოყოფილი თანხების 41.46 %).

აღნიშნული თანხების გამოყოფის (ხარჯვის) მდგომარეობის აუდიტით გაირკვა:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის (თ. კვარაცხელია) 2011 წლის 25 ნოემბრის N628 ბრძანებით სარეზერვო ფონდიდან გამოიყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსათვის 16,250.00 ლარი („კომპენსაციები, დავალიანებები (მ.შ. სასამართლო გადაწყვეტილება) და მიმდინარე რეორგანიზაციის ხარჯები“-ს მუხლში) ყოფილ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრს“ („დამკვეთი“) და ადვოკატ მზია ალავიძეს („შემსრულებელი“) შორის 2011 წლის 23 თებერვალს გაფორმებული „იურიდიული მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულების 2.8. პუნქტით გათვალისწინებული გადასახდელის დაფინანსების მიზნით.

სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის საფუძვლად ოფიციალურად წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები:

- 1) ადვოკატ მზია ალავიძის განცხადება;
- 2) საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.10.2011 წლის Nას-1268-1288-2011 განჩინება;
- 3) 23.02.2013 წლის N12 ხელშეკრულება, დადებული ერთის მხრივ, სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორ რაულ ქირიასა და მეორეს მხრივ ადვოკატ მზია ალავიძეს შორის;
- 4) 28.02.2011 წლის შეთანხმების აქტი ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.8 პუნქტის შეცვლის თაობაზე;
- 5) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 25.11.2011 წლის N02-740/5 წერილი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლით გაირკვა შემდეგი:

წარმოდგენილი ხელშეკრულება ითვალისწინებდა იურიდიული მომსახურების გაწევას „შემსრულებელის“ (ადვოკატი მ. ალავიძე) მხრიდან, წარმოედგინა „დამკვეთის“ (სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრი“) ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში, მოსარჩელებთან არსებულ სასამართლო დავაში. ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით განსაზღვრული იყო „შემსრულებელისათვის“, წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში 3,000.00 ლარის გადახდა, ხოლო სასამართლო დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში 2.8 პუნქტით „დამკვეთს“ შეეძლო დაესაჩუქრებინა „შემსრულებელი“ ფულადი ჯილდოთი.

გარემოება მდგომარეობდა შემდგომში:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 6 მარტის N10 დადგენილების შესაბამისად, 2007 წლის 27 ნოემბერს სსიპ „აფხაზეთის მედია ცენტრი“-ს დირექტორის მიერ გამოიცა ბრძანებები ორგანიზაციის ლიკვიდაციისა და თანმდევი პროცესების უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 19 სექტემბრის N10 დადგენილებით აღდგენილ იქნა სსიპ „აფხაზეთის მედია ცენტრი“-ს საქმიანობა. აღნიშნული დადგენილებებითა და ბრძანებებით მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია ამ უწყებაში მომუშავე პირების უკმაყოფილება და ითხოვდნენ მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებზე აღდგენას და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

წარმოდგენილი 28.02.2011 წლის შეთანხმების აქტის თანახმად 2012 წლის 23 თებერვალს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.8 პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული სასამართლო დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ საბანკო ანგარიშსწორების წესით ჯილდოს სახით გადასცემს 16,250.00 ლარს, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.“

უზენაესი სასამართლოს განჩინების თანახმად სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სსიპ „მედია ცენტრის“ დირექტორის 2007 წლის 27 ნოემბრის რიგი ბრძანებები მოსარჩელების დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ. ისინი აღდგენილ იქნენ დაკავებულ თანამდებობებზე, ხოლო მედია ცენტრს მათ სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე.

სასამართლო გადაწყვეტილებები გასაჩივრდა სააპელაციო წესით და საკასაციო წესით; საბოლოოდ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად მოსარჩელების სარჩელი სამუშაოზე აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წერილის (ხელს აწერს მინისტრის პირველი მოადგილე ა.აპლაკოვი) თანახმად, რომელიც შემოსულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში 2011 წლის 2 დეკემბერს, სსიპ „აფხაზეთის მედია ცენტრი“-ს დირექტორის რაულ ქირიასა და ადვოკატ მზია ალავიძეს შორის 2011 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი N12 ხელშეკრულებისა და 2011 წლის 28 თებერვლის შეთანხმების აქტის საფუძველზე, ადვოკატ მზია ალავიძისათვის გადასახდელი თანხა შეადგენს 16,250.00 ლარს (წერილში არ არის მოცემული თუ რის საფუძველზე ან რომელი გაანგარიშებით იქნა ეს თანხა მიღებული).

ზემოაღნიშნულ წერილში ცნობის სახით მოცემულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრი“ ლიკვიდირებულია, ხოლო ზემოაღნიშნული ხელშეკრულება სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრი“-ს წარმომადგენლების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი სალიკვიდაციო კომისიისათვის და შესაბამისად სალიკვიდაციო დასკვნაში ვერ იქნა ასახული ადვოკატ მზია ალავიძის მიმართ წარმოქმნილი ვალდებულება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ასევე ითხოვა, კომპეტენციის ფარგლებში განხილულიყო სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრი“-ს ადვოკატის იურიდიული მომსახურების საფასურის გადახდის საკითხი.

როგორც ირკვევა ფაქტიურად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3,000.00 ლარი მ. ალავიძეზე გადახდილ იქნა 2011 წლის 9 მარტს, ხოლო რაც შეეხება 16,250.00 ლარს, სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრი“-ს მიერ აღნიშნული თანხა არ იყო აღრიცხული როგორც პირობითი ვალდებულება⁴.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა შემდეგი გარემოებები:

მთავრობის აპარატის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა - ოთარ გარმელიამ, რომელსაც ევალებოდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე სამართლებრივი აქტის - ბრძანების პროექტის მომზადება, 2013 წლის 5 ივნისს (N592-01) (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) მოხსენებითი ბარათით მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს - ბატონ ვ. ყოლბაიას იმის თაობაზე, რომ მოხდა პირველად წარდგენილი დოკუმენტების განადგურება სხვა დოკუმენტების ჩანაცვლების მიზნით. მას წერილში მოჰყავს შემდეგი გარემოებები:

მოქალაქე მზია ალავიძის ხელნაწერი განცხადება აფხაზეთის მთავრობის აპარატში შემოვიდა 2011 წლის 24 ნოემბერს (N1908) თანდართული ხელშეკრულებით და საბანკო რეკვიზიტებით. მოქ. მზია ალავიძის (ხელნაწერ) განცხადებაში არ იყო მითითებული გადასახდელი თანხის ოდენობა, ხოლო თანდართული ხელშეკრულების მიხედვით მომსახურეობის ღირებულება შეადგენდა 3,000.00 ლარს. მოქ. მზია ალავიძის განცხადებას გააჩნდა მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2011 წლის 25 ნოემბრის რეზოლუცია, შინაარსით: „ქაბატონ ნ. შეროზიას; ქალბატონ დ. ხომერიკს; ბატონ თ. კვარაცხელიას; გთხოვთ განიხილოთ;“. იმავე დღეს, შესაბამისი დაწესებულებების (განათლებისა და კულტურის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო) განხილვის გარეშე ხელი მოეწერა ბრძანებას რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ. აღნიშნული ბრძანების შესახებ მან (ოთარ გარმელიამ) შეიტყო მას შემდეგ, რაც მოქ. მზია ალავიძის განცხადება გადმოეწერა (2012 წლის 2 დეკემბერი) მისდამი დაქვემდებარებულ დეპარტამენტს. ვინაიდან, აფხაზეთის მთავრობის აპარატის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, მთავრობის თავმჯდომარის დავალების შესაბამისად, სამართლებრივი აქტის მომზადება ევალებოდა ბ-ნ ო. გარმელიას დაქვემდებარებაში მყოფ დეპარტამენტს, მან სიტყვიერად მოახსენა მთავრობის აპარატის ყოფილ უფროსს - ქალბატონ ნ. შეროზიას, რომ არ განხორციელებულა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა არც მთავრობის აპარატში და არც შესაბამისი დაწესებულებების მიერ. ასევე, გაუგებარი იყო მისთვის (ო.გარმელიასათვის) ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3,000.00 ლარის ნაცვლად, რატომ გადაუხადეს მოქ. მზია ალავიძეს 16,250.00 ლარი. ო. გარმელიას ინფორმაციით, შემდგომში გაირკვა, რომ მოხდა პირველად წარდგენილი დოკუმენტების ჩანაცვლება სხვა დოკუმენტებით. ამის და სხვა ფაქტების შესახებ (ო. გარმელიას ინფორმაციით) სიტყვიერად მოხსენდა მთავრობის თავმჯდომარეს - ბატონ გიორგი ბარამიას და ო.გარმელიას მიერ გადაცემული იქნა მის ხელთ არსებული დოკუმენტები, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარის მხრიდან აღნიშნულზე არ განხორციელებულა კანონით გათვალისწინებული რაიმე რეაგირება.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 71-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნები.

ო. გარმელიას მოხსენებით ბარათზე თანდართული აქვს შემდეგი დოკუმენტების ქსეროასლები:

ა) მზია ალავიძის ხელნაწერი განცხადების ქსეროასლი, რომელიც შინაარსითა და ხელმოწერებით ნაწილობრივ განსხვავდება ოფიციალურად საქმეში წარმოდგენილი ნაბეჭდი განცხადებისაგან. მათ შორის შინაარსობრივი სხვაობა ნაწილობრივ გამოიკვეთება შემდეგში: ოფიციალურად წარმოდგენილი განცხადება არის ნაბეჭდი, ხოლო წარმოდგენილი ქსეროასლი არის ხელნაწერი. ოფიციალურად წარმოდგენილ განცხადებაში დანართების რაოდენობა მითითებული არის 9 ფურცელი, ხოლო წარმოდგენილ ქსეროასლში დანართები მითითებული არაა.

ბ) სსიპ „აფხაზეთის მედია ცენტრი“-ს დირექტორის რაულ ქირიასა და ადვოკატ მზია ალავიძეს შორის 2011 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი ხელშეკრულების სხვა ვარიანტი ქსეროასლის სახით, რომლის სხვაობა ოფიციალურად მთავრობაში წარმოდგენილ ხელშეკრულებისგან მდგომარეობს შემდეგში:

1. ოფიციალურად წარმოდგენილ ხელშეკრულებას აქვს მინიჭებული N12, ხოლო წამოდგენილ ქსეროასლს საერთოდ არ აქვს მინიჭებული ნომერი;

2. წარმოდგენილი ქსეროასლის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.8. პუნქტი შეიცავს შემდეგ შინაარსს:

„ამ ხელშეკრულების 1 მუხლში მითითებული სასამართლო დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ დამატებით უზდის დავის საგნის ღირებულების 10%-ს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ამ ვადაში ამ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „დამკვეთი“ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს იხდის გადასახდელი თანხის 0.3%-ს“.

ზემოაღნიშნული შინაარსი განსხვავებულია ოფიციალურად საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებისა და ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.8 პუნქტის შეცვლის თაობაზე შეთანხმების აქტში მოცემული შინაარსისაგან.

გ) წარმოდგენილია აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს წერილის (ხელს აწერს მინისტრის პირველი მოადგილე ა. აპლაკოვი) ქსეროასლი, რომელიც განსხვავებულია ოფიციალურად წარმოდგენილი წერილისაგან შემდეგით:

1. ოფიციალურად წარმოდგენილ წერილში მითითებულია ხელშეკრულების N12 და ნახსენებია 2011 წლის 28 თებერვლის შეთანხმების აქტი. კერძოდ:

„სსიპ „აფხაზეთის მედია ცენტრი“-ს დირექტორ რაულ ქირიასა და ადვოკატ მზია ალავიძეს შორის 2011 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი N12 ხელშეკრულებისა („იურიდიული მომსახურების შესახებ“) 2.8 მუხლისა და 2011 წლის 28 თებერვლის შეთანხმების აქტის საფუძველზე, ადვოკატ მზია ალავიძისათვის გადასახდელი თანხა შეადგენს 16,250.00 ლარს.“

წარმოდგენილი ქსეროასლი კი შეიცავს შემდეგ შინაარსს:

„სსიპ „აფხაზეთის მედია ცენტრი“-ს დირექტორ რაულ ქირიასა და ადვოკატ მზია ალავიძეს შორის 2011 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი ხელშეკრულების („იურიდიული მომსახურების შესახებ“) 2.8 მუხლის შესაბამისად, ადვოკატ მზია ალავიძისათვის გადასახდელი თანხა შეადგენს 16,250 ლარს.“

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის (თ. კვარაცხელიას) 2011 წლის 25 ნოემბრის N628 ბრძანების პროექტი ვიზირებული არის მხოლოდ იურისტის - ნ. ჯალაღონიას მიერ, ხოლო აფხაზეთის მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის - ო. გარმელიას მიერ, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარის დავალების შესაბამისად ევალებოდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე სამართლებრივი აქტის - ბრძანების პროექტის მომზადება, ვიზირებული არ არის. შიდა აუდიტისათვის მიცემული ინფორმაციის მიხედვით 2011 წლის 25 ნოემბრის N628 ბრძანების პროექტი ო. გარმელიასადმი დაქვემდებარებულ დეპარტამენტში არ მომზადებულა.

იურისტის - ნ. ჯალაღონიას განმარტებით, ზემოაღნიშნული ბრძანების პროექტზე შესაბამისი ვიზირება ეკუთვნის მას, მაგრამ ვის მიერ იქნა მომზადებული და შემოტანილი ბრძანების პროექტი არ ახსოვს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილის - გ. ჭუბაბრიას, რომელიც იმჟამად მუშაობდა საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად (მის კომპეტენციაში შედიოდა შემოსული კორესპოდენციის დამუშავება, აღრიცხვა და სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება) მოხსენებითი ბარათის მიხედვით სავარაუდოდ თავდაპირველად წარმოდგენილი და დარეგისტრირებული იყო მზია ალავიძის განცხადება, რომლის ტექსტი შესრულებული იყო ხელნაწერით, განცხადებაში გადასწორებული იყო თარიღი და არ იყო მითითებული დანართი. ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, განმცხადებელმა სავარაუდოდ საჭიროდ ჩათვალა წარმოედგინა განცხადების ახალი ეგზემპლარი ნაბეჭდი სახით, რომელიც ჩაენაცვლა ხელნაწერ განცხადებას და მას მიენიჭა იგივე სარეგისტრაციო ნომერი. ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წერილების ჩანაცვლება სავარაუდოდ განხორციელდა ტერმინოლოგიის შესწორების მიზნით.

ამდენად, სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრსა“ („დამკვეთი“) და ადვოკატ მზია ალავიძეს („შემსრულებელი“) შორის გაფორმებული 2011 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი N12 ხელშეკრულებისა („იურიდიული მომსახურების შესახებ“) და 2011 წლის 28 თებერვლის შეთანხმების აქტის საფუძველზე, ადვოკატ მზია ალავიძისათვის გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის (თ. კვარაცხელიას) 2011 წლის 25 ნოემბრის N628 ბრძანებით სარეზერვო ფონდიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსათვის 16,250.00 ლარის გამოყოფა („კომპენსაციები, დავალიანებები (მ.შ. სასამართლო გადაწყვეტილება) და მიმდინარე რეორგანიზაციის ხარჯები“-ს მუხლში) მოხდა საკითხის სრულყოფილი და ყოველმხრივი შესწავლის გარეშე. კერძოდ: 1) არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრი“-ს მიერ გადასახდელი თანხა - 16,250.00 ლარი არ იყო ოფიციალურად აღიარებული და აღრიცხული როგორც პირობითი ვალდებულება; 2) თანხის გამოყოფა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (რომელიც იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში

გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად)⁵ მოხდა მოქმედი წესის⁶ მოთხოვნათა უგულებელყოფით.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის“ თანხის გამოყოფის თაობაზე“ 07.03.2012 წლის N156 ბრძანების საფუძველზე, 2012 წლის 13-25 მარტს „საერთაშორისო ფესტივალის „ჩვენებურები“ - ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ მიწვევით სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან“ არსებული აფხაზეთის სახელმწიფო კაპელას ესპანეთში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში გასტროლებისათვის საჭირო ხარჯების თანადაფინანსების მიზნით, გამოიყო 21,400.00 ევროს ექვივალენტი ლარებში - 46,674.00 ლარი.

აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო ფესტივალში მონაწილეთა სია და ერთ პირზე საჭირო სამივლინებო თანხის გაანგარიშება.

3. აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის“ თანხის გამოყოფის შესახებ“ 25.07.2012 წლის N428 ბრძანების საფუძველზე, 2012 წლის 28 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათლით „საერთაშორისო ფესტივალის „ჩვენებურები“ - ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ მოწვევით სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან“ არსებული აფხაზეთის სახელმწიფო კაპელას იტალიაში კერძოდ, რომსა და რეჯიო'დი კალაბრიაში გასტროლებისათვის საჭირო ხარჯების თანადაფინანსების მიზნით, გამოიყო 26,960.00 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ანსამბლი (კაპელა) იტალიაში მიწვეული იყო 2012 წლის 28 ივლისიდან 04 აგვისტომდე (7 დღე), ხოლო აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს და სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ მიერ მომზადებული ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან გამოიყო ხარჯები 2012 წლის 28 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით (9 დღე), მათ შორის სასტუროში განთავსების ხარჯი გაანგარიშებულია 4 დღეზე (28,29,30,31)-2,996.00 ევრო, ხოლო დღიური ხარჯი 9 დღეზე - 6,255.00 ლარი. გასტროლებთან დაკავშირებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ზედმეტად მოთხოვნილი და გამოყოფილი თანხები ცხრილის სახით შემდეგნაირად

⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი; „2011 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ 32-ე მუხლი - „წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა“.

გამოიყურება:

ხარჯის დასახელება	წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით				საკონტროლო მონაცემებით				ზედმეტობა		ევროს კურსი ლარებში
	პირთა რ-ბა	დღეთა რაოდენობა	დღ. ნორმა (ევრ.)	სულ (ევრო)	პირთა რ-ბა	დღ. რ-ბა	დღ. ნორმა	სულ	ევრო	ლარი	
სასტუმრო	24	4	26.5	2544	24	3	26.5	1908			
	2	4	29	232	2	3	29	174			
	1	4	55	220	1	3	55	165			
დღიური	26	9	25	5850	26	7	25	4550			
	1	9	45	405	1	7	45	315			
ჯამი				9251				7112	2139	4300	2.0103

ამრიგად, ჯამში გასტროლებთან დაკავშირებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ზედმეტად მოთხოვნილია (გამოყოფილია) 4,300.00 ლარი.

რეკომენდაციები

ვინაიდან აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდი იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად, აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვისას, აუცილებელია სრულად იქნას შესწავლილი წლიური რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები და აქედან გამომდინარე გაანალიზდეს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა ღონისძიებებისათვის გამოსაყოფი თანხების დანიშნულება. აღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბიუჯეტო რესურსების ეფექტურად და სწორად ხარჯვას.

აუდიტის ჯგუფი:

აუდიტორი

გიორგი ფრუიძე

აუდიტორის მ/შ

ნაია ხოფერია

30 ოქტომბერი 2013 წელი